

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2014 წლის 18 სექტემბერი

ქ. ახალციხე

„ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №22 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06/08/2014 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.173.016022) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ ბერიძე

თავი I

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი
მუხლი 1. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6 144.6	491.0	5 653.6	3 355.1	265.9	3 089.2
გადასახადები	644.5	0.0	644.5	463.0	0.0	463.0
გრანტები	4 790.1	491.0	4 299.1	2 434.4	265.9	2 168.5
სხვა შემოსავლები	710.0	0.0	710.0	457.7	0.0	457.7



ხარჯები	5 785.3	26.3	5 759.0	2 657.7	16.3	2 641.4
შრომის ანაზღაურება	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5
საქონელი და მომსახურება	1 359.5	26.3	1 333.2	487.3	16.3	471.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	17.5	0.0	17.5	8.3	0.0	8.3
სუბსიდიები	2 677.3	0.0	2 677.3	1 246.7	0.0	1 246.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	468.6	0.0	468.6	244.7	0.0	244.7
სხვა ხარჯები	0.6	0.0	0.6	0.2	0.0	0.2
საოპერაციო სალდო	359.3	464.7	-105.4	697.4	249.6	447.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 082.3	580.7	2 501.5	438.0	348.4	89.7
ზრდა	3 142.3	580.7	2 561.5	466.0	348.4	117.7
კლება	60.0	0.0	60.0	28.0	0.0	28.0
მთლიანი სალდო	-2 723.0	-116.0	-2 606.9	259.4	-98.8	358.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 723.0	-116.0	-2 606.9	259.4	-98.8	358.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	358.2	0.0	358.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			358.2		358.2
კლება	2 723.0	116.0	2 606.9	98.8	98.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2 723.0	116.0	2 606.9	98.8	98.8	



ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
---------	-----	-----	-----	-----	-----	-----

მუხლი 2. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	ქალაქი					
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6 204.6	491.0	5 713.6	3 383.1	265.9	3 117.2
შემოსავლები	6 144.6	491.0	5 653.6	3 355.1	265.9	3 089.2
არაფინანსური აქტივების კლება	60.0	0.0	60.0	28.0	0.0	28.0
გადასახდელები	8 927.6	607.030	8 320.539	3 123.747	364.699	2 759.048
ხარჯები	5 785.3	26.3	5 759.0	2 657.7	16.3	2 641.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 082.3	580.7	2 501.5	438.0	348.4	89.7
ნაშთის ცვლილება	-2 723.0	-116.0	-2 606.9	259.4	-98.8	358.2

მუხლი 3. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 6204.6 ათასი ლარის ოდენობით

	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6 204.6	491.0	5 713.6	3 383.1	265.9	3 117.2
შემოსავლები	6 144.6	491.0	5 653.6	3 355.1	265.9	3 089.2
არაფინანსური აქტივების კლება	60.0	0.0	60.0	28.0	0.0	28.0
ფინანსური						



აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
-----------------	-----	-----	-----	-----	-----	-----

მუხლი 4. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 644.5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
გადასახადები	644.5	0.0	644.5	463.0	0.0	463.0
საშემოსავლო გადასახადი						
ქონების გადასახადი	644.5	0.0	644.5	463.0	0.0	463.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	489.5		489.5	458.1		458.1
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	33.0	0.0	33.0	1.2	0.0	1.2
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	30.0		30.0	0.6		0.6
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	3.0		3.0	0.6		0.6
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარლებზე)	0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	0.0			0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0



ფიზიკურ პირებიდან	0.0			0.0		
იურიდიულ პირებიდან	2.0		2.0	0.0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	120.0	0.0	120.0	3.5	0.0	3.5
ფიზიკურ პირებიდან	0.0			0.0		
იურიდიულ პირებიდან	120.0		120.0	3.5		3.5
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0			0.2		0.2
სხვა გადასახადები	0.0			0.0		

მუხლი 5. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4790.1 ათასი ლარის ოდენობით

	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	4 790.1	491.0	4 299.1	2 434.4	265.9	2 168.5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 790.1	491.0	4 299.1	2 434.4	265.9	2 168.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4 299.067	0.0	4 299.1	2 168.5	0.0	2 168.5
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 132.4		4 132.4	2 083.0		2 083.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	166.653		166.7	85.500		85.5
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	491	491	0	266	266	0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	491.0	491.0		265.9	265.9	



მუხლი 6. ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 710,0 ათასი ლარის ოდენობით

	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	710.0	0.0	710.0	457.7	0.0	457.7
შემოსავლები საკუთრებიდან	150.0	0.0	150.0	160.7	0.0	160.7
პროცენტები	150.0		150.0	160.7		160.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	180.0	0.0	180.0	50.0	0.0	50.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	180.0	0.0	180.0	46.0	0.0	46.0
სანებართვო მოსაკრებელი	4.0		4.0	2.0		2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	134.0		134.0	42.0		42.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	42.0		42.0	2.0		2.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	4.0	0.0	4.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0			4.0		4.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	350.0		350.0	239.4		239.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30.0		30.0	7.6		7.6

მუხლი 7. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5785.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

2014 წლის გეგმა

2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით



დასახელება	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5 785.3	26.3	5 759.0	2 657.7	16.3	2 641.4
შრომის ანაზღაურება	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5
საკონელი და მომსახურება	1 359.5	26.3	1 333.2	487.3	16.3	471.0
პროცენტი	17.5	0.0	17.5	8.3	0.0	8.3
სუბსიდიები	2 677.3	0.0	2 677.3	1 246.7	0.0	1 246.7
სოციალური უზრუნველყოფა	468.6	0.0	468.6	244.7	0.0	244.7
სხვა ხარჯები	0.584	0.000	0.584	0.200	0.000	0.200

მუხლი 8. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3082.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 142.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

org. kodი	დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	406.600	0.000	406.600	0.000	0.000	0.000
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2576.5	580.7	1995.7	386.1	348.4	37.7
04 00	განათლება	159.2	0.0	159.2	80.0	0.0	80.0
	სულ	3142.3	580.7	2561.5	466.0	348.4	117.7

ბ) განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 60,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:



დასახელება	ქალაქი					
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	60.0	0.0	60.0	28.0	0.0	28.0
ძირითადი აქტივები	50.0		50.0	0.0		
არაწარმოებული აქტივები	10.0	0.0	10.0	28.0	0.0	28.0
მიწა	10.0		10.0	28.0		28.0

მუხლი 9. განისაზღვროს ქ.ახალციხის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ქ.ახალციხის ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია							
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 966.6	0.0	1 966.6	804.6	0.0	804.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 966.6	0.0	1 966.6	804.6	0.0	804.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 927.2	0.0	1 927.2	804.6	0.0	804.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	39.4	0.0	39.4	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	61.0	0.0	61.0	37.4	0.0	37.4



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	375.7	0.0	375.7	218.4	0.0	218.4
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	375.7	0.0	375.7	218.4	0.0	218.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 564.8	607.0	1 957.7	418.5	364.7	53.8
7045	ტრანსპორტი	1 975.7	580.7	1 395.0	401.8	348.4	53.5
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 975.7	580.7	1 395.0	401.8	348.4	53.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	589.1	26.3	562.8	16.7	16.3	0.4
705	გარემოს დაცვა	730.0	0.0	730.0	302.7	0.0	302.7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	730.0	0.0	730.0	302.7	0.0	302.7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	535.7	0.0	535.7	113.8	0.0	113.8
7061	ბინათმშენებლობა	192.7	0.0	192.7	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	313.0	0.0	313.0	113.8	0.0	113.8
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	105.0	0.0	105.0	45.3	0.0	45.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	105.0	0.0	105.0	45.3	0.0	45.3
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 001.7	0.0	1 001.7	557.3	0.0	557.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	205.8	0.0	205.8	75.3	0.0	75.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	723.2	0.0	723.2	429.4	0.0	429.4
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	72.7	0.0	72.7	52.7	0.0	52.7
709	განათლება	1 286.0	0.0	1 286.0	535.8	0.0	535.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 286.0	0.0	1 286.0	535.8	0.0	535.8
710	სოციალური დაცვა	300.8	0.0	300.8	89.9	0.0	89.9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	87.3	0.0	87.3	4.4	0.0	4.4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	82.0	0.0	82.0	4.4	0.0	4.4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	5.3	0.0	5.3	0.0	0.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	16.3	0.0	16.3	8.5	0.0	8.5
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	197.2	0.0	197.2	77.1	0.0	77.1
	სულ	8 927.2	607.0	8 320.2	3 123.7	364.7	2 759.0

მუხლი 10. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ახალციხის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 2 723.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 2 732.5 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -2723.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 39,4 ათასი ლარის ოდენობით

ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 39,4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების ფონდი

ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 0,4 ათასი ლარის ოდენობით, რომლის განკარგვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 166.7 ათასი ლარი, მიიმართოს:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 105.0 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 53,7 ათასი ლარი;
 - გ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება 8,0 ათასი ლარი.
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი



თავი II

ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 17. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

მოსახლეობის სახანძრო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო სამსახურის ოპერატიული მოქმედება. მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა - 375.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრების და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სახანძრო სამაშველო სამსახურს ტექნიკური ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვას, პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარებას მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 61,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 3 830.4 ათასი ლარი

(პროგრამული კოდი 03 00)

ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 1975,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული ქუჩებისა და შიდა გზების რეაბილიტაცია, კერძოდ: ქ.ახალციხის გვარამამის ქუჩის რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური ქუჩების მდგომარეობის შენარჩუნება, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღვევით ბარიერების მოწყობა, ქალაქის რიგი ქუჩების ორმული შეკეთება ზამთრის პერიოდში, შიდა გზებისა და ქალაქის ქუჩების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1 265.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. ახალციხისა დასუფთავება.

ბ.ა) დასუფთავება - 730.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების გარე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. იგეგმება დასუფთავებისთვის სპეციალური ტექნიკისა და ბუნკერების შექმნა.

ბ.ბ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 313,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და ახალი სანათი წერტილების მოწყობა. ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დეკორატიული მინათებების მოწყობა.

ბ.გ) წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია - 30,0 ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ახალციხის #3 საჯარო სკოლის მიმდებარე - რუსთაველის ქ.#1 - სანიაღვრე არხების მოწყობა, .

ბ.დ) სახურავების, ფასადებისა და ლიფტების რეაბილიტაცია - 192,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 539,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

გ.ა) პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 162,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიდგმება ომში დაღუპულთა მემორიალი ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, ახალციხის მკვიდრის - ქართველი მეცნიერის - მიხეილ თამარაშვილის ძეგლი და ახალციხის მკვიდრის - ცნობილი ფერმწერის - მიხეილ იაძის მემორიალური დაფა. ასევე მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები და საქანელები ქალაქის რამდენიმე უბანში.

გ.ბ.) სპორტული მოედნების მოწყობა - 190,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხანძთელის, კოსტავასა და ასპინძის ქუჩებზე მინი სტადიონების მოწყობა.

გ.გ.) საკადასტრო აზომვითი ნახაზები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები - 61,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გ.დ.) ქ. ახალციხეში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბილბორდების, მგზავრთა მოსაცდელებისა და სათვალთვალო კამერების მოწყობა დამონტაჟების ხარჯები - 125,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში მოეწყობა ბილბორდები, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟდება სათვალთვალო კამერები და მგზავრთა მოსაცდელები.

დ) რაბათისა და სხვა კულტურული მემკვიდრეობის განვითარება,რეაბილიტაციის პროგრამა - 50,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის განვითარება-რეაბილიტაცია.

3. განათლება - 1 286,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა) სკოლამდელი აღზრდის ხარჯები – 1 286,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1200 - მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია და მათი ინვენტარით უზრუნველყოფა.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 1045.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 205,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის დამძღვრება სპორტული კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 723,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის დაწესებულებების გაერთიანება - 129,2 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში ხდება გაერთიანების აპარატის, ხუთი ბიბლიოთეკის, ოთხი კულტურის სახლის ფინანსური მხარდაჭერა.

ბ.ბ) კულტურული ღონისძიებები - 42,0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება „არტ-გენის“ ფესტივალის მხარდაჭერა და სადღესასწაულო (დედის დღე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, შობა და ახალი წელი და სხვა) ღონისძიებების მოწყობა.

ბ.გ) თეატრები - 78,0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მესხეთის სახელმწიფო თეატრისა და თოჯინების თეატრის ფინანსური მხარდაჭერა რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტის მიერ დაკვეთილი სპექტაკლების დაფინანსებით.

ბ.დ) ა.ი.პ. ახალციხის სამუსიკო სკოლა - 58.0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)

სუბსიდირების წესით ფინანსირდება ახალციხის სამუსიკო სკოლა სადაც ირიცხება და სწავლობს 216 მოსწავლე.



ბ.ე) ა.ი.პ. ახალციხის სამხატვრო სკოლა - 16.0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 07)

სუბსიდირების წესით ფინანსირდება ახალციხის სამხატვრო სკოლა სადაც ირიცხება და სწავლობს 145 მოსწავლე.

ბ.ვ) ა.ი.პ. "ახალციხის ციხე" - 400.0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 08)

სუბსიდირების წესით ფინანსირდება რეაბილიტებული კულტურის ობიექტი ახალციხის ძველი უბნის ე.წ. „ახალციხის ციხე“ მოვლა პატრონობა.

ბ.ზ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ი.პ. სტატუსის მქონე სამუსიკო, სამხატვრო და სასპორტო სკოლებში დაწესებული გადასახადის 100% -იანი შეღავათი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ომში მონაწილეთა ოჯახების, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, იძულებით გადაადგილებული პირების, პირველი ჯგუფის ინვალიდთა ოჯახების შვილების, მარჩენალდაკარგული და ობოლი ბავშვებისათვის - 35,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიების სწავლის გადასახადიდან მოსწავლეთა გათავისუფლება. ასევე მუსიკალური სკოლების მე-4, მე-5, მე-6 კლასების მოსწავლეთა გადასახადის 40%-იანი შეღავათი.

ბ.თ) ააიპ კულტურის დარგის გაერთიანების, ა.ი.პ. სამუსიკო სკოლის, სამხატვრო სკოლისა და სასპორტო სკოლის საწვავი შეშით უზრუნველყოფის პროგრამა - 8.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახელოვნებო სკოლებისა და სასპორტო სკოლის საწვავი შეშით უზრუნველყოფა.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 72,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 362,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 105.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;



- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა - 257,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ.ა) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება - 8,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით.

ბ.ბ) მხედველობით ინვალიდთა სოციალური დახმარება - 5,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უსინათლოთა ერთჯერადი სოციალური დახმარება ფულადი სახით.

ბ.გ) II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება - 9,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს გამარჯვების დღესთან დაკავშირებით II მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის, ერთჯერად ფულად დახმარებას, რომელსაც ასევე მიიღებენ ომის მონაწილე ინვალიდები და ომში დაღუპულთა ოჯახები.

ბ.დ) მზურნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს დაფინანსება - 80.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწიფო მდგომარეობაში მყოფი 170 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

ბ.ე) ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება - 15,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხანძრით დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება.

ბ.ვ) ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება - 18,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

პროგრამა ითვალისწინებს დევნილთა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება.

ბ.ზ) 100 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება - 1,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება გაეწევათ 100 წელს გადაცილებულ უზუცესებსა და



ბ.თ) ქ. ახალციხეში წრიული მარშრუტის მგზავრთა გადაყვანის საფასურის 50%-იანი შეღავათის პროგრამა - 22,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამა ითვალისწინებს ქ.ახალციხის შიდასაქალაქო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის 50%-იან შეღავათს.

ბ.ი) ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე - 14,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები პირველ, მეორე და მესამე შვილზე მიღებენ 100 ლარიან ფულად დახმარებას, ხოლო მეოთხე და მეტ შვილზე მიიღებენ 200 ლარს.

ბ.კ) რაბათის განვითარების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 1,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რაბათის განვითარების შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება ფულადი ფორმით.

ბ.ლ) მოსახლეობის საოპერაციო და სოციალურად დაუცველთა სამედიცინო გამოკვლევების დახმარება - 82,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 13)

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას გაეწევა გეგმიური ოპრაციისათვის ფინანსური დახმარება ოპერაციის ღირებულების 50%-ით არაუმეტეს 1500 ლარისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც პაციენტი არ სარგებლობს სხვა სახელმწიფო პროგრამით. ასევე დახმარება გაეწევა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ სარეიტინგო 0-100000 ქულის ჩათვლით და ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით.

მუხლი 18. ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ქ. ახალციხის ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ კრილში							
org. kodi	დასახელება	2014 წლის გეგმა			2014 წლის ფაქტი 10 ივლისის მდგომარეობით		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტი	8 927.6	607.0	8 320.5	3 123.7	364.7	2 759.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	118.0	0.0	118.0	118.0	0.0	118.0
	ხარჯები	5 785.3	26.3	5 759.0	2 657.7	16.3	2 641.4
	შრომის ანაზღაურება	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5
	ხელფასი	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5



ხელფასები ფულადი ფორმით	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5
თანამდებობრივი სარგო	1 261.7	0.0	1 261.7	670.5	0.0	670.5
საქონელი და მომსახურება	1 359.5	26.3	1 333.2	487.3	16.3	471.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	44.5	0.0	44.5	26.8	0.0	26.8
მივლინებები	8.5	0.0	8.5	2.6	0.0	2.6
მივლინება ქვეყნის შიგნით	8.5	0.0	8.5	2.6	0.0	2.6
ოფისის ხარჯები	398.6	0.0	398.6	141.6	0.0	141.6
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	15.7	0.0	15.7	6.0	0.0	6.0
ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაპირითადი საქმიანობის) ხარჯები	2.5	0.0	2.5	0.0	0.0	0.0
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	2.8	0.0	2.8	1.2	0.0	1.2
კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	2.7	0.0	2.7	1.2	0.0	1.2
კავშირგაბმულობის ხარჯი	17.2	0.0	17.2	5.3	0.0	5.3
საფოსტო მომსახურების ხარჯი	6.4	0.0	6.4	3.1	0.0	3.1
კომუნალური ხარჯი	350.7	0.0	350.7	125.9	0.0	125.9
ელექტროენერგიის ხარჯი	251.5	0.0	251.5	86.0	0.0	86.0
წყლის ხარჯი	43.8	0.0	43.8	19.8	0.0	19.8
ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	50.4	0.0	50.4	20.0	0.0	20.0
გატობისა და გატობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	3.3	0.0	3.3	0.0	0.0	0.0
წარმომადგენლობითი ხარჯები	18.5	0.0	18.5	8.2	0.0	8.2
სამედიცინო ხარჯები	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0



ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	88.1	0.0	88.1	35.5	0.0	35.5
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	60.5	0.0	60.5	26.3	0.0	26.3
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	20.3	0.0	20.3	6.8	0.0	6.8
ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	7.3	0.0	7.3	2.4	0.0	2.4
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	800.8	26.3	774.5	271.9	16.3	255.6
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	4.9	0.0	4.9	0.0	0.0	0.0
სარეკლამო მომსახურების ხარჯი	6.0	0.0	6.0	1.6	0.0	1.6
შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი	70.0	0.0	70.0	33.9	0.0	33.9
სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	719.9	26.3	693.6	236.5	16.3	220.2
პროცენტი	17.5	0.0	17.5	8.3	0.0	8.3
საგარეო ვალდებულებებზე	17.5	0.0	17.5	8.3	0.0	8.3
კომერციულ ორგანიზაციებზე	17.5	0.0	17.5	8.3	0.0	8.3
სუბსიდიები	2 677.3	0.0	2 677.3	1 246.7	0.0	1 246.7
სოციალური უზრუნველყოფა	468.6	0.0	468.6	244.7	0.0	244.7
სოციალური დახმარება	468.6	0.0	468.6	244.7	0.0	244.7
ფულადი ფორმით	431.2	0.0	431.2	244.7	0.0	244.7
სასაქონლო ფორმით	37.4	0.0	37.4	0.0	0.0	0.0
სხვა ხარჯები	0.6	0.0	0.6	0.2	0.0	0.2
სხვადასხვა ხარჯები	0.6	0.0	0.6	0.2	0.0	0.2
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	0.6	0.0	0.6	0.2	0.0	0.2
სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული	0.6	0.0	0.6	0.2	0.0	0.2



	სააღსრულებლო ხარჯი						
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 142.3	580.7	2 561.5	466.0	348.4	117.7
	ძირითადი აქტივები	3 142.3	580.7	2 561.5	466.0	348.4	117.7
	შენობა-ნაგებობები	2 588.5	580.7	2 007.7	384.9	348.4	36.5
	არასაცხოვრებელი შენობები	367.0	0.0	367.0	36.5	0.0	36.5
	ქუჩები	1 763.7	580.7	1 183.0	348.4	348.4	0.0
	ხიდები	112.0	0.0	112.0	0.0	0.0	0.0
	საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0
